

2. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიმართავა სამხედრო საბჭოსადმი, საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობისადმი

ამა წლის თებერვლის დასაწყისში საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილები შეეყვანილ იქნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზისა და სოხუმის აეროპორტის განბლოკვის მიზნით.

ვითვალისწინებთ რა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ და დროებითმა მთავრობამ მტკიცე გარანტია მოგვცეს ამ დავალებათა შესრულების შემდეგ გვარდიელების გაყვანისა, აფხაზეთის ხელმძღვანელობა არ შეწინააღმდეგებია ჯარების შემოყვანას.

ამჟამად ეს დავალებები უკვე შესრულებულია.

ამასთანავე ეროვნული გვარდიელების ფორმირებების ყოფნამ მკვეთრად გაართულა აფხაზეთში აფხაზეთში საზოგადოებრივი და კრიმინოგენული ვითარება. საქართველოს ეროვნულმა გვარდიელებმა მათი აფხაზეთში ყოფნის დროს ჩაიდინეს რიგი განსაკუთრებით საშისი დანაშაულობანი – მკვლელობები, ყაჩაღობა, ზარცვა და სხვ.

ამჟამად უზენაესი საბჭო იღებს ყველა აუცილებელ ზომას რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზებისათვის, მაგრამ აფხაზეთში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ნაწილების შემდგომი ყოფნა შეაფერხებს სიტუაციის სტაბილიზებას.

ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის უზენაესი საბჭო, არსებული მოლაპარაკებების შესაბამისად, აუცილებლად მიიჩნევს აფხაზეთიდან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ფორმირებების გაყვანას. თავის მხრივ, აფხაზეთის უზენაესი საბჭო იძლევა რკინიგზის სადგურისა და ქ. სოხუმის აეროპორტის ნორმალური ფუნქციონირების გარანტიას.

აფხაზეთის უზენაესი საბჭო.

1992 წლის 14 თებერვალი.

(გაზეთი «Республика Абхазия», # 23, 1992 წლის 15 თებერვალი)